საგრანტო კონკურსი: ქრაუდფანდინგის კამპანიის ჩასატარებლად კონკურსის პირობები

14 ივლისი, 2023 წელი

ინიციატივის შესახებ

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“* მიზნად ისახავს, გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი საქართველოს მასშტაბით.

პროექტს სამი კონკრეტული ამოცანა აქვს:

1. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსების გამჭვირვალობა და არასახელმწიფო დაფინანსების გამრავალფეროვნება, ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის პოპულარიზაცია.

2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მათ სამიზნე აუდიტორიას შორის კავშირების გამყარება, მათ შორის, სამოქალაქო ღირებულებების პოპულარიზაცია, საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული საქმიანობის წახალისება.

3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება და სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციური გაძლიერება ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით ზედამხედველობისა და ადვოკატირების თვალსაზრისით.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ემყარება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" (CSSIGE 2017-2020) განხორციელების პროცესში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

CSRDG-ის მიერ განსახორციელებელი აქტივობებიდან ერთ-ერთი აქტივობა ითვალისწინებს ზოგადად ქრაუდფანდინგის, მათ შორის ქრაუდფანდინგის ღონისძიებების ჩატარების პოპულარიზაციასა და მისი განვითარების ხელშეწყობას.

საგრანტო კონკურსის მიზანი

<u>კონკურსის მიზანია:</u>

იმ ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქრაუდფანდინგის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის და/ან სოციალური ინიციატივებისთვის საჭირო რესურსების მობილიზებას.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში მოქმედ ქრაუდფანდინგის პლატფორმებს, სამოქალაქო ჯგუფებს, მოძრაობებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (არარეგისტრირებულს და რეგისტრირებულს ააიპ სტატუსით). საგრანტო კონკურსი ცხადდება სხვადასხვა აქტუალური სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად და სამოქალაქო ინიციატივების განსახორციელებლად, რომელიც მიმართული იქნება კონკრეტული თემის (ქალაქი, დაბა, სოფელი, მუნიციპალიტეტი) ან სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე.

დაინტერესებულმა პირებმა / ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ საპროექტო განაცხადი თანდართული ფორმის მიხედვით. საპროექტო განცხადის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 2000 ევროს. გრანტის გაცემა მოხდება 2000 ევროს ექვივალენტ ლარში, გაცემის დღისთვის არსებული კომერციული ბანკის კურსით. საყურადღებოა, რომ მოთხოვნილი თანხის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ქრაუდფანდინგის კამპანიის საორგანიზაციო/ან სხვა ტიპის ხარჯებზე და არა, თავად გამოკვეთილი პრობლების, საჭიროების მოგვარებაზე.

პროექტი შეიძლება მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილი საილუსტრაციო საქმიანობებიდან ერთერთს ან რამოდენიმეს:

- ქრაუდფანდინგის პლატფორმის შექმნა ან არსებულის განვითარება;
- ქრაუდფანდინგის ღონისძიების მოწყობა (მარათონი, ჰაკათონი, და სხვა);
- ქრაუდფანდინგის უახლესი ინსტრუმენტების გამოყენება, მაგ: პროექტების აუქციონი - იხ. გაიდლაინის ბმული - https://bit.ly/3vXCEjA
- თავად განმახორციელებელი გუნდის შესაძლებლობების განვითარება ქრაუდფანდინგის მიმართულებით (ცოდნის ამაღლება, კონსულტანტის ჩართვა დაგეგმვის/განხორციელების პროცესში და სხვ.);
- სხვა

კონკურსის მთავარ პირობას წარმოადგენს წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, ფონდისგან მოთხოვნილი საგრანტო თანხის სულ მცირე ერთნახევარი ოდენობის ქრაუდფანდინგის გზით მობილიზება (მაგ, თუ წარმოდგენილი ბიუჯეტით მოთხოვნილი საგრანტო თანხა შეადგენს 4500 ლარს, ამ შემთხვევაში პროექტის ფარგლებში უნდა მოხდეს არანაკლებ 6750 ლარის მობილიზება)

საგრანტო პროექტის ფარგლებში დაფინანსდება მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 11 პროექტი.

შერჩევის კრიტერიუმები

შეფასების პირველ ეტაპზე, განიხილება წარმოდგენილი პროექტების შესაბამისობა კონკურსის მიზანთან. ის პროექტები, რომლებიც შეუსაბამოდ ჩაითვლება, შეფასების შემდეგ სტადიაზე ვერ გადავა.

<u>შეფასების მეორე ეტაპზე პროექტები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:</u>

	შეფასების კრიტერიუმი	**ქულა**
1	პრობლემის/სოციალური საკითხის აქტუალობა	**25 ქულა**
2	რესურსების მობილიზების მეთოდების რეალისტურობა და ეფექტურობა	**30 ქულა**
3	განმცხადებლის შესატყვისი გამოცდილება	**10 ქულა**
4	მოზიდული თანხების გახარჯვის გეგმის რელევანტობა	**15 ქულა**
5	წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა[1]	**20 ქულა**
სულ		**100 ქულა**

შერჩევის პროცედურა

- ❖ პროექტის შეფასებასა და დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებით, ასევე, შესაბამისი სფეროს ექსპერტებით;
- ❖ კომისიას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია; განმცხადებელთან ადგილზე ვიზიტს განახორციელებენ CSRDG-ის წარმომადგენლები. დამატებითი ინფორმაციის მოსაწოდებლად განმცხადებლებს სულ ცოტა 4 სამუშაო დღე მიეცემათ.

საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა და ბიუჯეტი

პროექტის ხანგრძლივობა (იგულისხმება თავად ქრაუდფანდინგის კამპანიის განხორცილება) არ უნდა აღემატებოდეს **6 თვეს,** ხოლო საგრანტო თანხის მაქსიმალური ოდენობა - **2000 ევროს.**

<u>დაბეგვრა:</u>
მიღებული გრანტით დღგ-ს თანხა არ ანაზღაურდება. შესაბამისად, თუ გრანტით მიღებული თანხა დაიხარჯა დღგ-ზე, გრანტის მიმღებმა ორგანიზაციამ იგი დადგენილი წესით უნდა გამოითხოვოს (დაიბრუნოს) შემოსავლების სამსახურიდან. პროექტის ხარჯების საბოლოო ანგარიში CSRDG-ის უნდა ჩაბარდეს დღგ-ს გარეშე.

CSRDG არ ანაზღაურებს კონკურსში მონაწილის მიერ საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარმოდგენისათვის გაწეულ ხარჯებს, მიუხედავად იმისა, შეირჩევა თუ არა მისი განაცხადი.

განაცხადების წარდგენის პროცედურა

<u>განაცხადის სრული პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტაციას:</u>

- ➢ **პროექტის განაცხადი** - მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განცხადებას.
- ➢ **დანართი #1 - სამოქმედო გეგმა** - მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განცხადებას.
- ➢ **დანართი #2 - დეტალური ბიუჯეტი** - მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განცხადებას.
- ➢ **განმცხადებელი ჯგუფის/ორგანიზაციის საქმიანობის რეზიუმე** - დაარსების თარიღი, მოტივი, ძირითადი მიმართულებები და მიმდინარე საქმიანობები, რესურსების მობილიზების გამოცდილება.
- ➢ საგრანტო პროექტის განმახორციელებელი **გუნდის ძირითადი წევრების რეზიუმეები**

[1] აქ იგულისხმება როგორც ხარჯთეფექტურობა, ასევე მოთხოვნილ და მოზიდულ თანხებს შორის თანაფარდობა.

(CV) **და მინიმუმ ერთი სარეკომენდაციო წერილი.**

- რეგისტრირებული ჯგუფის შემთხვევაში განმცხადებლის ბოლო 6 თვის მანძილზე განახლებული **ამონაწერი იურიდიულ პირთა რეესტრიდან.**

დაინტერესებულმა ჯგუფებმა/ორგანიზაციებმა განაცხადის სრული პაკეტი უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: **crowdfundinggrants@gmail.com**

გამოგზავნის შემდეგ მიიღებთ საპასუხო წერილს იმის თაობაზე, რომ თქვენი განაცხადი მიღებულია.

განაცხადების ელ-ფოსტით გამოგზავნის ბოლო ვადაა **2023** წლის 30 სექტემბერი, 20:00საათი.

საბოლოო გადაწყვეტილება პროექტების დაფინანსების თაობაზე მიღებული იქნება არაუგვიანეს **2023 წლის 30 სექტემბრისა.** ამის თაობაზე პროექტის ხელმძღვანელები წერილობით პასუხებს მიიღებენ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

დაგვიანებით წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.

კონკურსის დროს მიღებულ დოკუმენტებს CSRDG მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ან პროექტის დამფინანსებლის მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული შემთხვევებისა.

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ:

- დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: **crowdfundinggrants@gmail.com**

საკონტაქტო პირი: ანა ნადირაშვილი, გრანტების მენეჯერი.

საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართება ZOOM პლატფორმის მეშვეობით შემდეგ დღეებში:

2 და 25 აგვისტოს - 12:00 სთ-ზე

ორივე საკონსულტაციო შეხვედრის ბმული -
https://us02web.zoom.us/j/82539575866?pwd=YmlINnZkOXByZW5kT1ZaZWhDUnYrQT09

Meeting ID: 825 3957 5866
Passcode: 454505